სსიპ შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

შპს „გარდენ პალასი“

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2015

ერთი მხრივ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი"), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს რექტორი **თეონა ხუფენია** და მეორე მხრივ შპს ,,გარდენ პალასი" (შემდგომში,,გარდენ პალასი"), რომელსაც წარმოადგენს დირექტორი – **ონისე ლუკავა** საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1
მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს ,,გარდენ პალასის" შორის ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფილამწყობის" მოდულების შედეგებით გათვალისწინებული პრაქტიკული/დარგობრივი კომპონენტებისა და სტუდენტთა პრაქტიკის გავლის მიზნით.

მუხლი 2
მხარეთა უფლება–მოვალეობანი

2.1. ამ მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად შპს ,,გარდენ პალასი" იღებს ვალდებულებას სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უზრუნველყოს ხელმისაწვდომი მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, აღჭურვილობა, მასალა-ნედლეული და პროფესიული სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი.

2.2. პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას, რეალურ სამუშაო პირობებში მიიღებენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს და კომპეტენციებს.

2.3. მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის ინდ. მეწარმე ,,რამინი ბებია" იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტები ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, მოახდინოს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული გეგმის შესაბამისად და

შეაფასოს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და კრიტერიუმებით.

2.4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

მუხლი .3.
მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

მუხლი .4.
სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

5.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით.

5.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით , შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი
თეონა ხუფენია _____

შპს „გარდენ პალასი"-ს დირექტორი
ივანე ლუკავა _____
საიდენტიფიკაციო კოდი: 42 00 01 152
საკონტაქტო: 571 52 50 12

20.11.2015